

ჩემი პირი

მელიქიძის ქუჩაზე, პრეტე ჩაიგეზოვის სა-
ლებში.

ხელის-მომწერა

ჩემი პირი და სტ. მელიქიძის სტამბაში.
შეიქმნა გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ
редакцію газеты „Дროზდა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში —
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირასობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს
ცხულის ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით
სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ.
და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს
და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა,
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

დღიური

ატაკოვის გაზეთი („მოსკოვის უწყებანი“) კიდევ მიუბრუნდება ძველი
სიის მთიულეების ეთნო-ლელოვასა და
ასე ათავებს თავის გრძელ ლაღადობას:
„რუსეთი არ ეძებს მიწებს, რომ მსმალ-
ღებს ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს ომი
გამოუცხადოს; მიწების პოვნა ძნელი არ არის;
იმას არ უნდა ომის ატება არავისთან, მაგ-
რამ მეორეს მხრით ის ვერ მოითმენს, რომ
ვინმე იმის ღირსება დაამციროს ან თავის
სახელმწიფოში ვისმე შეიშალოს მოახდინოს.
ამისათვის ჯერ-ჯერობით საკმაოა, რომ ჩვენ
ზოგიერთი პოლიტიკური ზომები ვიხმაროთ
ჩაჩანში და ოციოდ ბატალიონი ჯარი და-
ვაყენოთ ჩვენს მსმალღის სამზღვარზედ.“

ამბობენ, რომ ამ მოკლე ხანში
რუსეთის სამხედრო მინისტრი მილი-
უტინი აპირებს ძველსაში მოსვლას.

იქნება მალე ერთი კარგი ახალი
კანონის გამოცემა ელირსოსთ ჩვენ
სოფლის საზოგადოებათ, რომელნიც
ასე ხშირად უჩივიან თავიანთ მამა-
სახლისებსა და მოსამართლეებს, რუ-
სულ გაზეთებში იწერებინან, რომ
მმართველობამ მიიღო მხედველობა-

ში ეს დაუბოლოებელი საჩივარი
სოფლის მოხელეებზედა და შემდე-
გი განკარგულების გამოცემას აპი-
რებსო: ა) მმართველობა გამოცემს
დარიგებას (ინსტრუქციას), რომელ-
შიაც მოკლედ და გარკვევით მოხსენ-
ებულნი იქნება სოფლის მოხელეების
ქველა უფლება, მოვალეობა და პა-
სუხის-გება, და ეს დაურთდება ყვე-
ლა სოფლებში; ბ) ამ დარიგების
შესწავლა ყველა სასოფლო შკო-
ლების მაგისტრებისათვის ეალდებუ-
ლი იქნება; გ) სოფლის მოხელეების
ზედამხედველობისათვის დანიშნული
იქნება ცალკე პირი — „სოფლის მზრუ-
ნველი“, რომელთაც ადგილობრივ
განათლებულ მემამულეთაგან ამოა-
ჩივდენ და რომლის მოვალეობა იქ-
ნება თვალ-ყური ადევნოს მოხელე-
ების მოქმედებასა და თუ რამ შე-
ნიშნა უკანონო ან უსამართლო,
უმაღლესს მთავრობას მოახსენოს.

ამ მესაზე მუხლის შემოდება ჩვენ-
ში არა გვეგონია, რომ სასიკეთოდ
დარჩეს, რადგან მთელი სოფელი
მაშინ თითქმის ერთი მემამულე-
მზრუნველის ხელში ჩაეკრება. პი-
რველი ორი განკარგულება კი ყოვე-
ლად გონიერი და ამ საგნისთვის
ძლიერ გამოხადევი იქნება. მართი

მხრითაც რომ ეშველოს რამე სო-
ფელს, მერე, უეჭველია, ყოველი სა-
ჩივრები და უკმაყოფილება მოხელე-
ებზე თავის-თავად მოისპობა: ეს ის,
რომ სოფლის მოხელეების არჩევან-
ში უფლის აღმინისტრაცია რომ არ
ერეოდეს. ამას წინათაც ესტყვიდა
ახლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენში
ხშირად, სოფელი კი არა, უფლის
უფროსი ან იმის თანაშემწე ნიშნავს
მამასახლისებსა და მოსამართლეებს
და ამგვარად დანიშნულ ხალხს, რა-
საკვირველია, სოფლის შიში და მო-
რიდება არა აქვს.

შემდეგ შემთხვევას გვწერენ ბო-
რიდამ, რომელმაც ამ დღეებში მომ-
ხდარა:

„მთი გამოჩენილი თოფის მსროლელი
გვეყოლია ბორში. მთის სიყვარლის გამო-
საჩინად და დასამტკიცებლად, ამ კაცმა
ქუჩის ახლო კედელზე დასო მიზანი და
მეორე ეზოდამ დაუმიზნა ტყვიით გატენილი
თოფი. ტყვიამ კედელი გაჭრა, გავარ-
და აქედამ და ერთ მოთამაშე პატარა ბიჭს
ფეხები აფშლევინა.“

„შველას გვაკვირებს ახლა: რატომ ეს
მარჯვე მსროლელი ომში არ მიდის ახლა
და ერთ-ერთ მხარეს არ უშველის?!“

ფაქტობანი

ირლანდიელის

ხალხოსნურ სულზე *)

მკვლევარი მკვლევარი ტიერის მიერ
(დასასრული)

ამაოდ ცდილობდა ინგლისი ირ-
ლანდიის ფრიად ცოცხალ მხნეობის
დამორჩილებას. მერას გზით ირლან-
დიას მან ვერ დაეიწყო დაპყრობა და
ვერ მიადებინა დაიარაღებულ და-
ცემის ნამყოფებროგორც სამართლი-
ანის ავტორიტეტის კანონები; ვერა-
ფერმა ვერ გასტეხა ირლანდიელის
სიმტკიცე. სთურებას, მუქარებას, წა-
მებას, ყველაფერს ჰქონდა ადგილი,
მაგრამ შეილებს მაინც დარჩათ მა-
მებისგან ნაანდერძევი სიმტკიცე.

ნამდვილი ირლანდიელები მარ-
ტო ძველ ირლანდიას ჰსცნობდნენ თა-
ვის მამულათ; ამ მამულის მიზეზით
იყო, რომ ისინი მტკიცედ ეკიდებო-
დნენ თავის სარწმუნოებას და თავის
ენას; კიდევ ეს მამულია, რომელსაც
ისინი ეძახიან თავიანთ აჯანყებაში
„ირინს“. ამავ სახელსა ჰხმარობ-
დნენ მათი წინაპრნიც.

ამ ჩვეულებათა და ზეპირგადმო-
ცემათა ჯაჭვის დასაცველად ირლან-
დიელებმა აიშენეს იმისთანა ძველე-
ბი, რომელთაც ვერ დაანგრევს ვერც
რკინა და ვერც ცეცხლი. იმათ მო-

*) „დროება“, № 73.

კიდეს ხელი სიმღერას, რომელშიაც
თავის თავი მარჯვეთ მიანიხათ და
რომელიც დამოუკიდებლობის დრო-
ებში შეადგენდა მათს დიდებას და
სიამოვნებას. მესაზნდრეები და მე-
მუზიკეები მამულის მეარხივებდა გახ-
დნენ. ისინი ეიდოდნენ სოფლიდგან
სოფელში და ყოველკვირისათან მი-
ქონდათ ძველ ირლანდიან მოგო-
ნება. იგინი ჰსცდილობდნენ, რომ ეს
მოგონება ყველასთვის სასიამოვნოთ
გახდებოდა, როგორც უნდა ყოფი-
ლიყოს გემო და წლოვანება: ვაჟკა-
ციებისთვის მათ ჰქონდათ სამხედრო
სიმღერები, ქალებისთვის სამიჯნუ-
რო გალობა, ბავშვებისთვის საუ-
ცხოვრო ზღაპრები.

შოველ ოჯახს მუდამ მზათ ჰქონ-
და მგზავრებისთვის ორი ჩანგი, და
ვინც უკეთ შეამკობდა უწინდელ
დროის თავისუფლებას, პატრიოტე-
ბის სახელსა და მათის მიზნის სიდი-
დეს, ის, ჯგუდოში, უკეთ იქნებოდა
გამასპინძლებული.
ეს იყო ირლანდიელების სინანუ-
ლის და წადილის უკანასკნელი შე-
საფარი. აქაც არა-ერთხელ მოინდო-
მეს ინგლისის მეფეებმა მათი დაჩა-
გრვა: მლოდეელი პოეტები იყენენ
დევნულნი, დაპატიმრებულნი, წვა-
ლებულნი. მაგრამ სისასტიკემ მხო-
ლოდ გააბრაზა დაუცხრომელი ნე-
ბანი; სიმღერის და ლექსების ხელო-
ვნებას ჰყავდა თვისნი მოწამენი, რა-
გორც სარწმუნოებას; და მოგონე-
ბანი, რომელნიც უნდა გაეკროთ,

ერთი-ორად გამრავლდნენ, ამ წვა-
ლების დახსოვნების გამო.

ხალხოსნურ სიმღერების სიტყვები,
რომლითაც ირლანდიელებმა თვის-
ნი განუწყვეტელი წვალბანი გამო-
ხატეს, უმეტეს ნაწილად დაიდუმენ;
მხოლოდ მუზიკა დარჩა შენახული.
ეს მუზიკა წარმოადგენს ერთრიგ გან-
მარტებას ამ ქვეყნის ისტორიისთვის.
იგი ჰხატავს სულის მდგომარეობას,
როგორც მოთხრობა ჰხატავს მოქ-
მედებას; იქ ნახავთ ბევრს გულმტკი-
ვნიულებას და მტკუნვარებას, ერთ-
გვარ მწუხარებას, ღრმად გრძობილ-
სა, მაგრამ ბნელად გამოთქმულსა,
ტივილი თითქო იმალება იმიტომ
რომ მას უჭერტენ. ხანდახან იქ მო-
ჩანს ცოცხალი იმედი და სიმეტიე, მაგ-
რამ საგალობელ ჩასართავს, რომე-
ლიც დიდად ცოცხალია, უცებ მო-
სდევს ერთნაირი მწუხარე შესაწყო-
ბი, ერთნაირი ხმის ცელილება, რა-
მელსაც მყისვე ხელახლავ მოჰყავს
უფრო ბნელი ფერადი, როგორც
ღრუბლიან დღეში ხან-და-ხან მზე
გამოჩნდება ერთ წუთს, რომ ისევ
ჩქარა დამალოს.

მთრი ერთ დროსვე პოეტი და
მემუზიკეა, როგორც მისის მამულის
ძველებური მესაზნდრეები; მაგრამ
მათის ველურის გულის-ხმის მაგიერ,
მას აქვს შემოქმედებულ ნიჭის ყველა
სიტუარენი; დამოუკიდებლობისადმი
მისი სიყვარული, გადიდებული ეხ-
ლანდელ ფილოსოფიით, აღარ საზ-
ღვრავს ყველა მისს წადილს ირლან-
დიის განთავისუფლებით და ძველის


„თფილისის მოაზრებ“ გვაცნობებს,
რომ მიწის-მზომელი (ზემლევერი)
ატეოვესკი, რომელსაც ახრადებდ-
ნენ, რომ წალკის ბერძნებს ქრთამი
გამოართვა, მიწის დარიგების დრო-
საო, და რომელიც შარშან გაიქცა
აქედამ მსმალეთში, იქაურ მთავრო-
ბას დაუჭირავს, ჩვენი მთავრობისა-
თვის გადმოუცია და ახლა დაჭერი-
ლი მოჰყავთო.

ამ დღეებში ძალაქში დაბრუნდა
უფ. მ. ბეთანელის ტრუპა „ახიელი
მოსაკრავებისა“. მოგვხსენებთ, რა
საიდუმლოებით წაიდნენ აქედამ ამ
სამი თვის წინათ, შემდეგ რა ბაქი-
ბუქითა და ამბით მისცეს სტამბოლ-
ში კონცერტი! მენაში სამასხაროთ
აიგდეს და შემდეგ მონაველიეში და
სხვა ქალაქებში საქმე იქამდინ მივი-
და თურმე, რომ კინაღამ ცემით გა-
მოჰყავს თეატრიდამ. თვითონ უფ.
მ. ბეთანელი გამოდიოდა თურმე
სცენაზე, ჩერქულ ტანისამოსში
და ჩუსტებში ჩაცმული, ლეკურს
თამაშობდა, მაგრამ არც ამან უშვე-
ლა-რა.

ბოლოს ანტრეპრიონერმა გადას-
წყვიტა, რომ ამისთანა საქმით ამე-
ოიკაში მე ფულს ვერ მოვიგებო და

მწვანე დროშის (ძველებური ირლან-
დიის თავადების დროშა) მობრუნე-
ბით: იგი ადიდებს თავისუფლებას,
როგორც ყოველ კაცის უფლებას,
როგორც მსოფლიოს ყველა მხარე-
თა სიმშენიერეს. ინგლისურნი სი-
ტყვები, რომელნიც მან შეაწყო ძვე-
ლებური ირლანდიურ სიმღერების რი-
თმაზე, სავსენი არიან კეთილშობი-
ლურ გრძობებით, თუმცა ადგილო-
ბოივი ფერი და ფორმები მათ დალ-
ასეთათ. მაგრამ ეს ფორმები, თით-
ქმის ნიადაგ საიდუმლონი, შეიცავენ
თვისს საკუთარს სიმშენიერეს.

ირლანდიელებს უყვართ მამულის
გამოსახვა ნამდვილ არსებად, რა-
მელიც გვიყვარს და რომელსაც ჩვენ
უყვარვართ; მათ უყვართ მამულთან
მუსიკი მისის სახელის წარმოუტქ-
მელად. ამ სიყვარულს, ამ მძლავრს
და საშიშს სიყვარულს, რომელსაც
ირლანდიელები მამულს უცხადებენ,
ისინი ურევენ, რაც უფრო ტკბილი
და უფრო ნეტარია გულისათვის. მე-
გონებათ, რომ ამ საამო ცოუნების
ფარდის ქვეშ უმაღლეს თავის თავს
იმ შიშსა, რომელიც წინ უდგას პა-
ტიოტსა, და თავს იქცევენ ტურფა
ჰზრებით, სანამ შებმის საათი მო-
წყდეს, — როგორც ის სპარტელები,
რომლებმაც სიკვდილის კარზე მერ-
მოპილთან, ყვაილებით დაიგვირგვი-
ნეს თავი.
ჩვენ მოვიყვანთ მაგალითებრ შემ-
დეგ ნაჭერსა, რომელსაც, ავტორის
ჰაზრით, ერთი გლეხი უძღვნის თა-
ვის ქალსა:



მარსელიდამ გამოისტუმრა (ამბობენ, მიატოვაო) თავის მშვენიერი ქართველი ქალი ტასიკა და ორი სხვა დამკრავები.

ახლა, როგორც მოგახსენეთ, აქ ჩამოვიდნენ, ელაც სომხის ფაქრების წყალობით, და როგორც ამბობენ, კბილების დაუკრ ტუნებელად ვერ მოიგონებენ თავიანთ ანტრეპრიონერს....

ჩვენ შევტყუეთ, რომ ამ ორი კვირის წინათ უფ. გოლოგოვსი სიმონოვიჩი სეხეთში წასულა იქაური მადნების დასახედავით. ამბობენ, სეხეთში ოქროს მადნის ნიშნები არისო და ამ ექსპერსის განსაკუთრებული მიზანიც ეს მადანი არისო.

„დროების“ კორექსიონდენცია

სიღნაღი, 5 აგვისტოს. უფლო რედაქტორო, გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში ამ მცირე შენიშვნას, რომელიც, ვგონებ, ყურადღების ღირსი უნდა იყოს.

სიღნაღის უბნში, სოფელს მ.ზანში, იყო საყდრის დღესასწაული — შაწათობა, მაისის 25-ს.

წინა დღეს მოიყვანა ერთმა კაცმა სოფელში ერთი კამეჩი და დაკლა, როგორც მოგახსენებთ სოფლის დღესასწაულის ამბავი, შამოხვიცნენ სოფლები და კამეჩის ხორცი სულ წაიღწამოიღეს. ხორცის ფასი გახლდათ სიმინდი, პური, ღვინო და ნამეტანი ნისია.

ეს ძალიან კარგი, მაგრამ, საუბედუროთ, ბოლოს ისე მოხდა, რომ კამეჩი არც პატრონმა დაკლა და არც

მყიდვემა სჭამა. პიროგორ: ამ კამეჩის დამკველს ცოლი მოჰკვდომდა და სამღვდლო გადასახადი არაფერი არ ჰქონოდა, რომ დიაკონისათვის მიეცა, რადგან რიგი დიაკონისა ყოფილა. ამ დროს ეს დიაკონი შეუჩნდება გლეხს და დაარბევს, რომ წადი, მოიპარე რამეო, ხარი, ძროხა, რაც იქნებაო, შენც ხომ მშიერი ხარ, ხორცი შენ გაყიდეო, და ტყავს მე წაიღებ, სამღვდლო გადასახადშიაო. ჩვენი ბიჭები შინ ფეხშიწველები არიან, ამისათვის ტყავი ძალიან მჭარდებაო. თუ ვინცია ბაა ამოჩნდება რამე ნაქურდალი, შენ ნურაფრისა გეშინიანო, ყოველ პასუხს მე მიესცემო...

ამ იმედობით თურმე გაბედა საწყალმა გლეხმა: წაიდა, მოიპარა კამეჩი მოიყვანა და დაკლა. ხორცი რომ გაიყიდა, მოვიდა დიაკონი, მოსთხოვა ტყავი; გლეხმაც აიღო და მისცა; დიაკონმა გადააბრუნ-გადმოაბრუნა და სთქვა: „ეს ჩვენი კამეჩის ტყავიაო!“

იწამსვე მისწერა წერილი თავის მამას სოფელს შანთანში, სადაც ის არის სოფლის მამასახლისად. ეს რომ შიტყუა მამასახლისმა, იმ წამსვე ს. მ.ზანში გამოიქცა. დაიჭირეს ქურდი, ბეგივემა (მამასახლისმა) სტაცა შიგ ყელში ხელი, მის შვილმა დიაკონმა სტაკა სილები იქითა-და-ქეთ.

ეს რომ შეიტყეს მ.ზანის სუდიამამასახლისებმა, რასაკვირველია, დაეხმარნენ კამეჩის პატრონს. ამათის შემწევობით, გამოარეკეს მთელი სოფლის მცხოვრებნი და ვისაც ხორცი ეყიდნა; ყველას მოატანინეს და ერთადგილას დაჰყარეს და ხორცის წამლებთაც საკმაოდ ურტყეს ჯოხით;

მერე ამოარჩიეს ათიოდე კაცი, ხელები უკან შეუკრეს და გადაარეკეს სოფელ ჯუგანში, სადაც საპყრობილეა. მემრე ხორცის მსყიდვეები გამოუშვეს და თითო კაცს თითო მანეთი გადახდევინეს.

ეს მოხდა დღესასწაულ დღეს; თუმცა ხალხი ბევრი იყო მოსული დღესასწაულზედ, მაგრამ ვერაფერ შეატყუა, ქურდი ვინ იყო და წვალებში ვინა. საწყალი სტუმრები პირდაღებულნი მასტყროდნენ თავიანთ მასპინძლებს და ქლები კი ხელებს თავში იცემდნენ.

ბოლოს გამოიყვანეს ქურდი, რომელსაც კამეჩი უნდა აზღვევინონ. ძამეჩი დაათასეს თორმეტი თუმანი; ტყავიც მამასახლისმა წაიღო, ბეგივემა, რომელსაც შემოსხნებულ ბიჭების ქალამად სჭირდებოდა. ზღვებს სახლში არა ებადარა კამეჩის საზღვარი და ამის გამო ხელი მოაწერინეს, რომ მისცემს დიაკონის მამას, მამასახლისს ბეგივეს, თორმეტი თუმანის მაგიერ ვენახსა და მამულს.

ამნაირად მამასახლისმა თავის შვილის შემწევობით, ეს კამეჩი თოთხმეტ თუმანად გაისალა; თორმეტი თუმანი და მკველვისაგან და ორი თუმანი მცხოვრებლებსაგან, ვინც რომ ხორცი იყიდა, რომელთაც ეს ხორცი გადაუყარეს.

ს. შ. შარფველი

აბასტუმანი, 4 აგვისტოს. შეცრად შეიცვალა აბასტუმანში ცხოვრება; კიდევ ძველ წესზედ დადგა.

მოვიდა მუზიკა, და ისეთი მოქმედება ჰქონდა აქაურს საზოგადოებზედ, როგორათაც ახალი გაზაფხულის მზის სხივისა; ყველანი ერთადა იგივე დროს იკრიბებიან ბაღში,

„ათას შიშთან, ათას უბედურებასთან შენმა ღიმილმა გამოიხარულა ჩემი გზა. რაოდენათ უფრო სამწუხარო ჰხდებოდა ჩვენი ბედი, იმოდენად უფრო ცოცხალი იყო ჩვენი ს გულის ალი.“

„მე ვიყავი მონა, მაგრამ ჩემმა სულმა შენს კალთაში იპოვა დამოუკიდებლობა; მე ვლოცავდი თითქმის ჩემს უბედურებასაც, რომელიც უფრო ძვირფასათ მხდოდა მე შენს თვალში.“

„მე ვნახე შენი მტერი პატივში, როდესაც შენი ხვედრი შეურაცხება იყო; მე ვნახე შენი შუბლი შემოსალი ეკლებით, როდესაც მისს შუბლზე ჰბრწყინებდა ოქრო! მან მე შემაძლია ადგილი თავის სასახლეებში, როდესაც შენი თავ-შესაფარი კლდის ქვაბი იყო. მაგრამ შენს ფეხებთან მიწა გამისკდეს, თუ მე მივცე ჩემი თავი იმას, ვინც არ მიყვარს, თუ მე შენ დავიფარო რომელიმე ჩემი ფქვი.“

მეორე ნაჭერი, ყფრო ამალღებულის ხმისა, ითქმის ერთს იმ ძვილ მოსიარულე პოეტისაგან, რომელიც ეილოდენ ირლანდიაში და ბოტქმინდენ მამულის ბედსა:

„ნუ ჰგმობთ მესაზნდრესა, თუ იგი მიისწრაფის იმ საიდუმლო ბინებისაკენ, სადაც სული ცოტად მინც ჰსტკება, თუ იგი უზრუნველის სახით უღიბის დიდებას; იგი დაბადებული იყო უფრო კეთილშობილ განზრახულებათათვის; სხვა დროსა, უფრო მწყალობელსა, მისი სული ბევრად უფრო წმიდის ალით აინთებოდა. სიმი, რომელიც ეხლა მისს ქნარშია გაყრილი, მოდუნებდა საშინელ მშვილდას და ისროდა მემორის ისრებსა მისი პირი, რომლისაც ეხლა შეუძლიან ამოიხროს მხალოდ სიწარე ამაო

სურვილისა, მკვერთე ტყველურად წარმოსთქვამდა პატრონის ვაჟაკურ სიტყვებსა.“

„მაგრამ, ჰოი ჩემო მამულო! შენი დიდება დაკარგულია; ის გულადები, რომელნიც არაოდეს არ უნდა მოკაკულიყვნენ, ეხლა წელში გამტყდარნი არიან. შენი შვილები იმალვიან და გრიდებიან ნათელს დღეს, რათა შენს ნანგრევებზე თავისუფლად იკვებონ. მათ მოლაღატეს უძახიან, როცა შენ მათ უყვარხარ, და შენის დაცვისათვის მათ სიკვდილი ჰსჯის. მათი ხვედრი შეურაცხება არის, თუმცა იგინი შენი ორგულნი არ არიან; იგინი დანიშნულნი არიან ბნელ ცხოვრებისათვის, თუმცა არ თანხმდებიან თავიანთ მამების უარ-ყოფაზედ; და ამოხრებელ კოცონზე, სადაც ჰქენესი მომაკვდავი მამული, ინთება ლამპარი, რომელსაც იგინი სახელოვან გზზე მიჰყავს.“

„თუმცა შენი დიდება დამხობილია, თუმცა შენი იმედი წარმოადგენს მხოლოდ აჩრდილსა, მე შენ მაინც მიყვარხარ, ჰოი ირანე! შენი სახელი იცოცლებს ჩემს სიმღერებში; არაოდეს, „მისის“ (იგლისის) ხარულობის დროს, ჩემი გული შენს უბედურობის მოგონებას არ მოიშორებს.“

„მე მსურს, რომ უცხო ქვეყნებში გაიგონოს მინდვრებში შენი ოხვნარი; მე მსურს, რომ თეთ შენი ტრები, იმ დროსვე, როცა იგინი გიქედენ ბოროტებსა, შეჩერდნენ მათის მონის ხმაზე და დადმოყარონ ცრემლი.“

მეორე ხმირად მიუბრუნდება ირლანდიის დამოუკიდებლობის დროებს და უგალობს თავისუფალ მამულის გმირებს:

„მოგონოს ირანემ წარსული დღეები, როცა მისნი შვილები არ დალატობდნენ მას.

ბესელკაში (რომელიც აქაურებზე გააშენეს ძველის რიტორის ადგილას). მრშობათ საღამოობით ტყეში იკრიბებიან, სადაც წილს გამართეს ბლომათ სტოლები და სკამები. ბარდა შაბათისა, (რადგანაც აქაურს აბანოებში მხოლოდ შაბათობით ნება მიცემული სახით ბანებისა), ყოველ დღით და საღამოთი იკვრის მუზიკა და კვირაში ოთხჯერ ტანცაობა.

შასული იგლისის 27-ს დღით მოვიდა აქ მთლიანს ლუბერნატორი, რომელიც იმავე დღეს გაუმასპინძლდა უ. რემერტი, ტყეში, იმ ადგილას, რომელსაც „ატლაცების კარებს“ ეძახიან. საღამოს ბალი და როტონდა მშვენიერად განათებული იყო ფერად-ფერადი ფარნებით იპვერატრიცის დაბადების დღის პატივდებისათვის.

იმავე თვის 29-ს საშინელი ქარიშხალი იყო აქ; მას თან მოჰყვა სეტყვა. ბევრ სახლებში ქოლგის ქვეშ იდგნენ წვიმის გადაღობამდინ. შემდეგ მოვიარდა ვ. წ. აბასტუმანის წყალი, გაშაგებულო, საშინელის ღრიანლით. მთლად აბასტუმანის საზოგადოება გამოვიდა გარეთ და მოგროვდნენ ხლოვნებითა გარდმონაქანის წყლის საცქერალად. ეს სურათი მართლად მშვენიერი სახანავი იყო.

ამ თვის 2 ს აქაურს როტონდაში, რომელიც განაღებულ იყო ფერად-ფერადი ფარნებით და რომელშიაც ერთის მხრით იმოდამ მუზიკის და მგორეს მხრით სიმღერის ხმიბი, გამართული იყო კანცერტი. შესვლის ფასი იყო დანიშნული შესაწევნელად მებრძოლ სოფიანებისა, სულზედ 50 კაპ. როტონდაში გამართეს ბუჭეთები, სადაც ეჭრობდნენ ქაობი: ს. გინოვისა, კნა შელიკოვისა, რემერტისა, სკოროვისა და აობრეტისა.

შემდეგ უ. რემერტმა წაიკითხა მოწოდება (Воззвание Петербургскаго Славянскаго комитета). რომლითაც წარმოუდგინა აქაურს საზოგადოებას

ბის აწყუო ანუ წარსული თავისუფლება, დაურლოველი ანუ დარღოვილი სიმაართლე. მინც უზამს საფრანგეთს, რაც მურმა უქნა ირლანდიას, იმას დასახუქრებს საზოგადოების მხრით პატივისცემა, დამეორეს მხრით სერნიდისი მუღამ გაახსენებს მას; რომ იგი ემსახურება უფუშინდეს საქმეს.

მით დროს ჩვენ გექნდა მკბენარ სიტყვის მასალები, რომელნიც, სასაცილოთ ადგების მიშით, აჩერებდნენ უსამართლობას; რატომ ეხლანდელ დროს ვერ ვიქონებთ უფრო კეთილშობილურ სამღერებს ჩვენის ნების გამოსათქმელად? მითომ რატომ არ მოუმატებთ ჩვენს გონების სიმძლავრესთან და ჩვენს გულადობასთან პრეზიის სიმშვენიერეს? მითომ რატომ არ შევექნით ახალ პოეზიას, რომელიც ჩვენ თვით-არსებობის დასაცველად უნდა იყოს შეწირული; პოეზიას, კლასიკურს კი არა, არამედ ხალხოსურსა, რომელიც იქნება, წარსულ გენიოსების წაბძევა კი არა, არამედ დღევანდელ გრძობის და ჰზრის მხატვრობა?.....

ა. შ.

პარიზი, 28 ივლისს



საბაასო

მ. ჩიხიტაშვილს

მულით და სულით ესწუხარ, უ. ჩიხიტაურელი, რომ იმისთანა მასწავლებლები გვეყავს მუთისის სასწავლებლებში, როგორც თქვენ. ის არის უბედურება, რომ თქვენ შინაგანად არავინ გაცივრდებოდით და გარეგანად აგრესიულობდა თქვენში კაცი.

სამოც-და-თვრამეტი შაგირდი ერთბაშად გამოირიცხეს და თქვენ იმას იძახით: „ნუ გეშინიანთ, არავინ გამოურიცხავსთო!“ აბა რაღა უნდა გკითხოთ თქვენ სასწავლებლის საქმე, როდესაც აგრესიული გარეგანობაა და ამ დამიმტკიცე, უფ. ჩიხიტაურელი, ამ გამოირიცხულ შაგირდებში, რომელია ცუდი ყოფილიყავის? მე უნდა მოგახსენო, რომ არსად მინახავს ჯერეთ სასწავლებლის წესდებაში „პირობით მიღება“ შაგირდებისა; მაგრამ ჩვენს სასწავლებელში წესდება უყურებენ? სამოც-და-თვრამეტი შაგირდი გამოირიცხოს სასწავლებლიდან და არც მათ მამებსა და არც სამღვდელთა მხრით წევრებს არ გაავებინონ და საგამგებოთ არ დაისწრონ იგინი—ეს რომელ სასწავლებლის წესდებაშია?

„უ. ზედამხედველს მოშავლის სექტემბრისათვის მესხეთე კლასის გახსნა უნდაო,“ ამბობს უ. ჩიხიტაურელი. მის უნდა მესხეთე კლასის გახსნა? სასწავლებლის ზედამხედველს? მთხიკლასიანი სასწავლებლისთვის ვერ მოუვლია და მესხეთე კლასის გახსნა უნდაო!!! რა უნდა გითხრათ, ან თქვენ და ან თქვენისთანა მყვარალაებს, რომელთაგან საქმე არა გამოდის რა? რადგან სულ არაფერი არ გცოდნია, უ. ჩიხიტაურელი, ჩვენი სასწავლებლისა, ეხლა მაინც გაიგეთ და დალაგებით მითხარით: რა იყო ამ შაგირდების გამოირიცხვის მიზეზი? უნდა და უნდა ზედამხედველმა სასწავლებელი არ დაშალოთ და მესხეთე კლასის გახსნაზე არ შეგაწუხებთ! თქვენ მესხეთე კლასის გახსნა ისე ადვილად მიგჩინათ, როგორც დღეს ქაპა! პროფესორები კი გვეყოლება დღის წინაშე..... ნეტავი ჩვენს სასწავლებელს თქვენს ხელში!.....

X
8 აგუსტოს.

ნარეკი

მენუის ახლგაზღვრებასა და მუშებს ამას წინათ უდღესაწულნიანთ დღეობა გამოჩინოლი იტალიელი პოეტის—ზოფარდო მამელისა, რომელმანც თავის სიტყვებზე საშობლოს განთავისუფლებას შესწირა რამდენიმე ათასი მუშა და სტუდენტები მთელი დამეფრად-ფრად ფანტებითა და ჟინტლით დაიარებოდნენ თურმე მენუის ქუჩებში და სხვა და სხვა რესპუბლიკურ სიმღერებს იმღერდნენ.

ამ პოეტის სახლზე შემდეგი ზედწარწერაა:

„სახლი ზოფარდო მამელისა, რომელმანც თავის სისხლი სამშობლოს შესწირა და თავის ლექსები უანდრძა საუკუნოებასა. აქ დაიბადა და აქვე ცხოვრებდა.“

ვით ვეფარჯიშებდეთ ჩვენს სხეულსა და აგებულებას.

მართლა ესთქვათ, ბევრი საქმისაგანაც ხომ თავი არა გეტყვიან. ბანა მეთი იქნებოდა ჩვენთვის ამ გვარი საზოგადოება? მეთადრე ამ ცემა-ტყევის საუკუნეში, როცა ჩვენ მშვიდობიანად ვიძინებთ დღეს და არ ვიცით ხვალ რა გველის? სხვა არა იყოს რა, ნაირ-ნაირი კანდიდატების აღმოჩენვის დროს მაინც თოფ-იარაღის რიგიანი ხმარება როგორ გამოადგებოდეთ ქუთაისელებს!... ცემა-ტყევა აბა რა პატიოსნებაა განსაკუთრებით თავადებისათვის!

ხუმრობა იქით, მეცნიერები ამბობენ, რომ ბუნებას დიდი გავლენა აქვს ხალხის ხასიათზე. მაგრამ, ეს ქვეყნობა, მაგრამ რა მიზეზით შევიცარიის და ძველთაის ერთგვარმა ბუნებამ დაბადა ერთის მხრით მოსაქმე და თან თითქო უსისხლო ადამიანი და მეორეს მხრით მოძრაი და ზანტი? ისეთს ღრმა ძილში ვართ, რომ ჩვენს ქვეყანასაც არ ვიცნობთ; ამბობდნენ, (რას არ ამბობდნენ ამ წუთსოფელში ანხლი ენები!). ამბობდნენ, რომ ერთს ჩვენებურ კაცს ალაზნის მინდერის ნახვა მონდომებოდა; შეაკმაზინა ცხენი, პირჯვარი დაიწერა და გასწია. ბევრი იგზაურა თუ ცოტა—არ ვიცი; ის კი ვიცი, რომ ალაზნის კი არა, ცხენის-წყლის პირს მიადგა და წამოიძახა: „მართლა, რომ მშვენიერებაა ეს ალაზნის მინდორიო!“

ამ პატარა შეცდომამ მე არ გამაკვირვა; ან რათ უნდა გააკვირვოს ვინმე? ბანა გამოჩენილა ჩვენში აქნობამდის ხუთი-ექვსი კაცი, რომ მოველოდნენ ქვეყანა, ენახათ სად რა სიმდიდრე აქვს ჩვენ სამშობლოს? მაგრამ მაინც ყველა მხრიდან კი გვესმის; „ძველთაისა უხვად შემოკბილია ბენების სიმდიდრითაო!“ შევიცარიის არათუ ხუთი კაცი, ხუთი-ექვსი საზოგადოება არის, რომლებსაც მიზანი აქვს მთებზე ასვლა.

ბანა მართა შევიცარიის სტუდენტობენ თავის ქვეყნის გაცნობას? იმ კვირას საფრანგეთის სახალხო განათლების მინისტრმა გამოაცხადა, რომ ვინც მოსწავლე ყარწვილთაგანი მოინდომებს ეკანციების დროს მთებზე ასვლას, რკინის გზის ბილეთები ნახევარ ფასად მიეცემა და სხვა ამ გვარი შემსუბუქება, რაცკი შესაძლებელი იქნებაო.

ამ წერაში მამაგონდა უფ. აკაკის ფელტონი, სადაც ამბობს, რომ ჩვენი ახლგაზღვრება სამშობლოს მხოლოდ მაშინ იგონებს, როცა სამზღვარ გარეთ არისო. მაგონია, რომ მაგაში არ შესცდა, მით უფრო რომ ესთავე ვიცი, რომ თოფს ვერაფერ ამალვებინებს ხელში და ალაზნის სანახაეთ ცხენით არ წავაღ და ამის გამო ცხენის-წყალს არ ენახამ!

ბ. კ—სა

პარიჟი, 27 ივლისს

თუ შემდეგშიაც ისე გაიმარჯვებს ოსმალებმა, როგორც დღემდე იმარჯვებდნენ, თუ, განსაკუთრებით, მდ. მორავის ხეობებში დაჰკლდნენ და პარაჩინი და ჩუპრია აიღეს, მაშინ უეჭველია, რომ სერბია სრულებით დაპარცებული იქნება, შერიგების მომხრეები უფრო გამრავლებიან და ძალა-უნებურად, დროებით მაინც არის, უნდა შესწყვიტონ ბრძოლა.

— მ. მალეთი ახლა ალბანიისაკენ აგრძელებს თურმე თავის სამხედრო ძალას. ამბობენ, რომ ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლაი ათი-ათასი კაცით მიდის ალბანიის სამზღვარზე ოსმალებთან შესაბმელათაო, და ბერცოგოვინაში კი ერთს კორპუსს ჯარს სტოვებსო.

ინგლისი. აგვისტოს 3-ს დახურულა პარლამენტის სხდომები. ჩვეულებისამებრ ამ დღეს პირველ მინისტრს წაუკითხავს ინგლისის კოროლეის ვიქტორიის ეპისტოლე, რომელშიაც, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ ყველა გარეშე სახელმწიფოებთან ინგლისს შეგობრული და კარგი განწყობილება აქვსო და რაც შეეხება სლავიანებსა და ოსმალეთს შუა ბრძოლას, როცა დრო მოვა, ინგლისი მორიგებას იშუამდგომლებს და ეცდებოა, რომ სისხლის ღერა და განხეთქილება მოისპოსო.

საზარანგეთი („დროების“ კორესპონდენცია) ორიოდ დღე იქნება, წაეკითხე შევიცარიელი „მსროლელთ საზოგადოების“ დღესასწაულის აღწერა. ამ შემთხვევისთვის ჩამოვიდნენ ყველა შევიცარიის კუთხებიდან ლაზანას 4,000 მეთი კაცი. სამი-ოთხი დღე იქიფეს ლაზანისათ, ახალგაზდებმა სიმარღე გამოაჩინეს, მახუცებულგებმა წარსული დღეები მოიგონეს. მთ როგორ შეექცნენ, ეს პატარა სია გაჩვენებს: 302,000 ბოთლი ღვინო დაიცალა. (არ ვიცი, რამთენს ტიკის დასცილდნენ ჩვენში 4,000 ადამიანი). წრის გაუფჯობსობისათვის შემოვიდა 493,000 ფრანკი.

ამ ამბის კითხვის დროს წარმომიდგა გუნებაში შევიცარიის მშვენიერი ბუნება; ბევრჯელ დავეკირვებულვარ ერთ უცნაურ ბუნების მოვლინებას: რამთენათაც თვალს ახარებს ამ ქვეყნის ურიცხვა ლაჟვარდი ტბები, თვალ-გაღუწვდენელი ტყეები და ჭრელ-ჭრელათ გადაფენილი მთები, იმთენათ უშნო და გონჯი ეჩვენება მაყურებელს ამ დალოცვილი ქვეყნის პატრონი ხალხი, მითქვას ნახევარ გზაზე დანებოდეს ზამჩენს ერთი და იგივე ალაგის სიმშვენიერე, და სხვისთვის მიენდოს ამ ხალხის გაჩენა....

ძალა-უნებურათ შევადარე ეს ქვეყანა ჩვენ სამშობლოს და ვგონებ, რომ ბუნების სიმშვენიერით არა ვართ ნაკლები და ხალხის შნოითა, რაღა თქმა, რომ არა დაუფარდებით შევიცარიელებს.

მგება უფრო მარდი და უშიშარი ხალხიც ვიყოთ, თუ რომ სხვებსა-

ბალკანის ნახევარკუნძულის მცხოვრებთა გაჭირვება და მათი საცოდავი და შიშალოისი მდგომარეობა.

ამის მერედ უმეტესად ალგერძათ იქ მყოფთ კაცთ-მოყვარეობითი გრძობა და შესწირეს ყველამ შეძლების-და-გვართ ფული მათდა შესაწვენელად, რომლის ჯამი სულ ერთიანათ შესდგა 430 მან. აქედგან დაიხსრა 115 მან. და წმინდა შემოსავალი დარჩა 315 მან. ამ შემთხვევაში თანამგრძობელობა გამოაცხადეს აქაუროს მგეჭრეთა შორის: უ. შერიგებრეობა და ტერიტორიებმა, რომელთაც ყველა სასმელები და ხორავი ღირებულ ფასების ბეჭრით ნაკლებათ მისცეს.

ჯავ ხეთის ახალქალქის მაზრაში ამ ქადა საშინელი ავაზაკობა გაიმართა.

ამ ახლოს ხანში სამს ქრისტიანების სოფლებს დაეცნენ: ბზაფეთს, პონლას და მეჭრისას; ამ უკანასკნელი სოფლის სომხის მღვდელი დასჭრეს, ძა მოუკლეს და რამდენიმე კაციც სხვა დაუჭრიათ. იმედია, რომ მალე მოსპობს ჩვენი მთავრობა ამ გვარს გლეხების დამლუპავს შემთხვევებს, რომელიც განსაკუთრებით მზიანებულია ახლა, როდესაც მუშაობა იმართება და გლეხები სულ მინდერთ თუ არ იქმნებიან, შიმშილით უნდა გაწყდენ.

მთ ესეთი შემთხვევები გამეორდება კიდენ, ეს უნდა მივაწეროთ ჩილდირის თათრების მტრობას ქრისტანობისას; რადგანაც თავიანთ მზარეს ახლოს ქრისტიანები არსად სახლობენ, რომ თავისუფლად და სასტიკად დასტანჯონ, ჩვენს ხარეს გადმოდიან და აკაყოფილებენ თავიანთ ფანატიკულ მტრობასა.

ბ. მ.

უსხო ქვეყნები

ომის ამბავი. ჩერნოგორიელებს ერთხელ კრდე დაუმარცხებიათ ოსმალეთის ჯარი: ამ კვირაში მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ მდუნთან გაცხარებული ბრძოლა იყოვო და ჩერნოგორიის ჯარმა საშინლად დაამარცხამაჰედ-ფაშა, რომელსაც 20000 კაცი ჯარი ჰყვდა ხელ-ქვეითაო.

სერბების მხრით კი არა ისმის რა, გარდა იმისა, რომ დენერალი ჩერნაევი ახლა აცხადებს, რომ ჩვენი ჯარი იმდენად მომზადებული არისო, რომ ხელ-ახლად შეიძლება უშიშარად დაეცნეთ მტურსაო.

ბელგრადში თან-და-თან აცხადებენ თურმე მორიგების სურვილს. მთმცა ბელგრადის ოფიციალურს გახეთში ამას წინათ დაბეჭდილი იყო, რომ „ჩვენ წინდუხედავადა და დაუფიქრებელად როდი დავიწყებია ომი; სანამ ამ მხიმე ნაბიჯს გადავდგამდით, ერთ წელიწადს ესჯდით, ეფიქრობდით, და ვეზადებოდითო, და ახლა თუ შევებით ოსმალებს იმ გადაწყვეტილებით, რომ ან ჩვენ უნდა ვიქნეთ, ან ისინი; ან უნდა მოვიპოვოთ სრული დაუმოკიდებლობა და თავისუფლება და ან სრულებით დავიხოცნეთ;“ თუმცა, ვამბობთ, ოფიციალური გახეთი ამას იწერებოდა, მაგრამ, როგორც უკანასკნელი დეპეშები გვაცნობებს, მორიგება თან-და-თან უფრო მომეტებულ მომხრეებს პოულობს თეთი სერბიაში; და



ბანსხადება

თფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-გამყოფო ბანის

ბალანსი

1876 წლის პირველის იელისისათვის

აქტივი	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
ქასსა.			3,172	11
სელად-მიგარაგული ფული:				
ა) თფილისის სახელმწიფო ბანკის ბან-ყოფილებაში	186	22		
ბ) თფილისის საეკრა ბანკში	429	13		
გ) თფილისის საურთიერთო პრედიტის საზოგადოებაში	11,025		11,640	35
ქორრესპონდენტებს.			11,940	
ქორრესპონდენტები				
საწევრო ფული თფილისის საურთი-ერთო პრედიტის საზოგადოებაში			30	
უმსანახად და სასარგებლოდ განკუთვნილი:				
სახელმწიფო და მართებულობის გარანტირებული ფასიანი ქა-ლაღები, უმანახული:				
ა) სახელმწიფო ბანკის ბანყოფილებაში			59,129	59
ბ) ბანკის ქასსაში				
ბანკის საკუთრება სარგებლიანი ქაღაღები				
გარკელ-ვადით სესხი, გაცემული:				
ა) მიწებზე, 54 1/2 წლით	261,000			
ბ) " " 43 1/2 წლით				
გ) ქალაქებში მდებარე უძრავ ქონებაზე	513,400			
" " 27 წლითა 6 თვით				
" " 18 წლით და 7 თვით	42,000		816,400	
გარკელ-ვადიანი სესხები, რომელნიც				
გასაცემად დანიშნულნი არიან:				
ა) მიწებზე 54 1/2 წლით				
ბ) " " 43 1/2 წლით			19,900	
გ) ქალაქებში მდებარე უძრავ ქონებაზე				
" " 27 წლ. და 6 თვით				
დ) " " 18 წლით და 7 თვით				
ვადან გარკვეულ ვადახდელი სესხი:				
ა) გირაოს ფურცლებით			100	
ბ) ნაღდ ფულად			80,715	
მოკლე ვადიანი სესხი				
გირაოს ფურცლები გასასყიდად (კომი-სიით) მიღებული. (702,100)				537,454
სესხის აშკარა:				
ა) ნაღდობი გადასახადი (§ 14 წესდებისა)				
ბ) " " " მოკლე ვადით			22,375	13
ვადან გადაცილებული შემოტანილი				
ფული			513	44
დასაბრუნებელი ხარჯი			523	95
გასაწვადი:				
ა) მოსამზადებლად და გასაწყობად	4,359	64		
ბ) გასაყვანი მმართველობისა და შენა-ხვისათვის	9,609	40	13,969	24
ბალანსი			1,577,863	38

პირის ფული:

ა) გრძელ ვადიან სესხთათვის	161,397	96		
ბ) მოკლე ვადიან სესხთათვის	100,131	15 1/2	261,529	11 1/2
შემოწმებული თაფნი			1,694	53
საზოგადო საჭიროებისათვის ფული			6,290	80
შეველებრივო კაპიტალი			699	98

გირაოს ფურცლები, გამოცემული:

54 1/2 წლის ვადით	261,000			
43 1/2 წლის ვადით				
27 1/2 წლისა	513,400			
18 წლისა და 7 თვის ვადით	42,000		816,400	

გირაოს ფურცლები, რომელიც უნდა

გამოიცან:

54 1/2 წლის ვადით				
43 1/2 წლის ვადით				
27 1/2 წლისა			19,900	
18 წლისა და 7 თვის ვადით				

ვადან აღკვეთილი სესხი

ა) გირაოს ფურცლებით			100	
ბ) ნაღდ ფულად				
გირაოს ფურცლები, რომელთაც გაუ-ქმების წილი ხვდათ, მაგრამ ჯერ არ წარ-მოუდგენიათ დასაცვლად			8,300	
გირაოს ფურცლების კუბონები, ანუ ნაკვეთები, რომელშიაც ფული უნდა მიეცე-სარგებლის ფონდი			3,654	
			21,303	

ვადახდელი ფონდი, მისაცემი:

54 1/2 წლის გირაოს ფურცლებში	440	9		
43 1/2 წლის ვადით				
27 1/2 წლისა	4,343	59		
18 წლისა და 7 თვის გირაოს ფურცლები	739	87	5,532	55
ერთი აღკვეთილი მემორეში გადასატანი				
ფული			20,762	54
სხვა-და-სხვა კრედიტორები			379,969	
ქორრესპონდენტები				
სესხის ამღებლები				
დაფასების სახარჯო ფული და სხვ.	12,188	90 1/2		
სარგებელი მოკლე-ვადიანი სესხისა	3,481	80		
ჯარიმა	317	3		
სხვა-და-სხვა სარგებელი	15,750	5	31,737	78 1/2

ბალანსი 1,577,863 38

თავმჯდომარე თ. ი. შავჭავჭავაძე.
წევრი: თ. ალ. ჩოლოყაშვილი
წევრის მაგიერ თ. ლ. მაღალაშვილი

ბუხალტერი უ. შრ. ხაჩატურიანი.

რკ. მზა.	დღა.	საღამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გემები	ფოფა	გირა	მან.	კაპ.	მაზანდა	მან.	კაპ.
თფილისი	9 36	4 54			ა) შოთიდა მდის:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 7 აგვის.			თფილისი, 10 აგვის.		
მცხეთა			68	38	მდისსიკენ—უბათს დღისმსათ.	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	მთი მანეთი ღირს:			პური შორავლის ფ.	80	
ზორი	12 21	8 41	2 40	1 23	სტამბოლს—კვირაობით, დღიას.	—უფელ დღეკვირას გარდა. ზუღდ.	ლონდონში 3 1/2 პენსი.	84		ჭერი ფული.	60	
ხაშური	2	11 10	3 92	2 18	ბ) მდისსიკედამ:	ოთხშ., მზურგეთს—პარასკ და	პარიჟში 3 3 1/2 სანტიმი.	89		ბაბა პრევისა, ფული.	5 50	
ბევეთუბანი			4 42	2 46	შოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.	ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და	სკონტი(სარგებლობისფასი)	5		—ამერიკისა, ფული.	6 30	
ქვირილა			5 81	3 23	სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე	შაბ. ქახეთს—სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5 1/2	99 25		გაპენტილი ბაბა ფ.	8	
მუთაისი	8 23		6 75	3 75	შოთიდამ:	თფილისისა და შოთისკენ—უ-	მოგებიანი(პირველისსესხი)	198		მატული თუშური ფ.	7 50	
სამტრედია			7 73	4 29	საზღვრადი	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-	მოგებიანი (მეორე სესხი)	196 50		—თარაქმისა ფ.	7 50	
ახ.-სენაკი			8 57	4 76	ჭერჩამდი.	გეთს—ორშ. და პარასკ. ზუღდღის	გირაოს ფურცლები:			პრეშუმი ნუხური გრ.	2 60	
შოთი	11 44		9 75	5 42	ტაგანროგ.	—ოთხშაბ.	თფილ. საზან. ბანკისა.			ქონი, ფული.	4	
					მდისსაბდი.	38 " 30 " 9 60	ხერსონის ბანკის (5 1/2)	88		ქონის სანთელი ფული.	5 60	
შოთი	8 40				ტელეგრაფი	შოველგან უფელ დღე, კვირას	მოსკოვის (5 1/2).	91 25		სტარინის სანთელი, ფ.	10 30	
ახ.-სენაკი			1 18	66	მცი სიტყვა თფილისიდან:	გარდა.	აქციები:			ხორცი ძროხისა, ლიტ.	45	
სამტრედია			2 61	14	მუთაისს, შოთს	ა) შოთი დამ:	მდისსიკენ ბანკის	158		—ცხრისა, ლიტრა.	54	
მუთაისი	11 51		3 41	69	ზორს, დუშეთს, სიღნახს	შოველგან უფელ დღე, კვი-	შოთი-თფილ. რკინ. გზის	139 50		სპირტი, ვედრო.	6 60	
ქვირილა			3 98	2 21	როსტოვის მდისსიკენ	რას გარდა.	შეიზღვის ცეცხ. გემების	530		შაქარი, ბროც. ფული	6 90	
ბევეთუბანი			5 33	2 96	პეტერბურგს, პარაშავს.	წიგნის გაგზავნარუსეთში	ქავახის და შერკუთის.	205		—ფხვნილი ფული.	5 80	
ხაშური	5 41	1 6 5	8 4 3 24	9	მსპალეთში, შევიცარიაში	და სამზღვარ გარეთ:	პირვ. საზღვევ. საზოგ.	724		შავა გრვკალი ფული.	19	
ზორი	7 23	3 6 7	3 6 4 9		იტალიაში და საურანგეთში.	ღია წიგნის	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263		ზეთი ქუჩულისა ფ.	5 50	
მცხეთა			9 8 5	4	ინგლისში.	დაბეჭდილის (სამი მისხალი).	მოსკოვის საზღვევ. საზ.	260		მქოლ 1/2 იმპერიალი.	6 27	
თფილისი	10 16	7 24	9 7 5 5 42									